

ხელმძღვანელობს ჯარს, უკან მას შე-
უბრუნდებიან იმპერატორის იტალიელების
წინააღმდეგ.

ესტრო გერმანიის ესკადრის უფროსათ
დაინიშნა ბერლინი ადელბერტ პრუსსკი.
ავსტრიის ჯარი სილვენიდან ტრენტინო-
ში გადაიყვანეს.

გადმოგვიყვან, რომ ავსტრიის პოლი-
ციის ჯარისკაცები, რომელნიც ისტრიაში
და დალმაციაში არიან შეკრებილი, საბ-
რძოლოთ არ გადაინათ. მათ იარაღი ჩა-
ბრუნეს და გადაიყვანეს როვერეტოდან
ტრენტინოში, სადაც ყოველი მესხეთ
ჯარისკაცი დახვრიტეს უჩინობისათვის.

კამისარის დაზიანება.
ქრევიდან ცნობა, რომ პოლიციის გა-
მოსულ ავსტრიის კრიესერს თავს დაეს-
ხენ იტალიის წყალქვეშა ნაგები და შე-
სამჩნევთ დაზიანებას.

იტალიის ხუთმა დიდმა ტრიეს-
ტის ნავთილდურმა და მთელი ტრიესტის
ყურე დათავადიერა.

იტალია და მოკავშირეები.
„ტელეგრაფი“-ს იტალიელი კორეს-
პონდენტი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ
იტალიამ ოპის გამოცხადებამდე მოკავ-
შირებთან ხელშეკრულება დასდვა, რომ-
ლის ძალითაც ვალდებული დახმაროს
მოკავშირეებს ხმელეთსა და ზღვაზე და
არც სეპარატული ზავი შეკრას მტერთან.

გერმანია და იტალია.
გერმანიისა და იტალიის შორის ჯერ-
სრული კონფლიქტი არ მოხდარა. ბერ-
ლინი ფიქრობდნენ, რომ იტალია ჯერ
კიდევ დიდხანს არ გამოუცხადებს
ომს გერმანიისა და ოსმალეთს, რათა
ამით თავიდან აიცილოს ძალების დაქსა-
ქსავა.

ომის გამოცხადების შემდეგ გერმანიის
პრესამ იტალიის წინააღმდეგ კილო ძლი-
ერ შესცვალა. „ბერლინერ ტაგებლატ“-ს
რედაქტორი ვოლფი აფრთხილებს სა-
ზოგადოებას ფრთხილად მოიქცეს მტრე-
ბის დაფასება-დახასიათებაში და დასცი-
ლდეს იმ გერმანულ გმირებს, რომელნიც
ირწმუნებიან, რომ იტალიის გამოსვლით
ან და ამერიკა და სხვა ნეიტრალური სა-
ხელმწიფოები რომ ომში ჩაერთონ საქმე
უფრო კარგით წავაო.

რაც შეეხება რუმინის პოზიციას, გა-
ზეთს მოყვას ის სახარული, რომელიც
რუმინელებში გამოიწვია იტალიის გამო-
სვლამ და საეჭვოთ არ მიიჩნია ახლო მო-
მავალში რუმინის გამოსვლა.
სახმედრო მთავრობამ აუკრძალა მკაც-
რებლებს ცუდათ არ მოეპყარნ იტალიე-
ლებს გერმანიაში.

ასეთი მოპყრობა გამოწვეულია იტა-
ლიაში დარჩენილ გერმანელთა დაცვის
მიზნით.

ტიროლელ იტალიელების გადასახლება.

როგორც კომუნისტური ცნობა ტი-
როლიდან, ტიროლში მცხოვრები ყველა
იტალიელი ავსტრიის შუა გულისკენ გა-
დასახლეს.

გაღვიძრვა.
გააგიადან ცნობა, რომ გერმანელებმა
დაატუსაღეს და გაგზავნეს გერმანიაში
ბელგიის მინისტრის ცილი. მას ბრალს
სდებენ თავის ქმართან მიწერ-მოწერაში.
ლიეჟის ოლქში მალარობში მომუშა-
ვეთა ამოხეხვამ იფეთქა. მუშები მოთხო-
ვეს სამუშაო ქირს მომატებას.

რა აზინებს ინგლისს.

როგორც წინა წერილშიც ვთქვი,
გერმანიის წინააღმდეგ უმთავრესათ იბრა-
ძვის ინგლისი; ეს „ძველი ქვეყანა“, გა-
მოცდილი მრეწველი, საუკუნეების გან-
მავლობაში მშვიდობიანათ, თავისუფლათ
მოვაქვხ ხალხი დღეს სახმედრო გუნება-
ზე დამდგარა, გერმანიის კრიკაში უდგას
და ყოველ ღონეს ხმარობს, რომ მისი
მსვლელობა და გავლენა შეასუსტოს, —
შეაჩეროს.

გერმანია კარგათ გრძობს ამას და
„მთავარ მტრათ“ სწორეთ ის მიიჩნია მას:
გერმანიამ მთელი თავისი ძლიერება, მთე-
ლი თავისი ახალი სახმედრო ტექნიკა,
ახალი სისტემის წალქვეშ მავალი ნაგები,
ცუბელინები, მახრბოგელა გავით გატერი-
ლი ყუმბარები, ყველა ეს მის წინააღმ-
დეგ მიმართა, მარა ინგლისი თავისი გეო-
გრაფიული მდგომარებობათ სარგებლობს
და გერმანიის მუქარა—რისხვას ჯერ ისევ
აღუწვფოთებლათ ეგებება და თავს უში-
შარ ნავისაყუდარში გრძობს. „ყველა
დარწმუნებულიათ, — იწერება ერთი ლონ-
დონელი კორესპონდენტი, — რომ ინგლი-
სი მიუვალთ და მიუწდომელიათ ამ ომში
ისე, როგორც პლანეტა მარსი“-ო.

მაშ რა ამინებს, ან რა აწუხებს ამ ომ-
ში ინგლისს?
— მხოლოთ ომის მოსალოდნელი შე-
დეგი. მორიგება და ზავი თუშა ინგლის-
საც სწყურია, მაგრამ ზავის ისეთ პირო-
ბებში ჩამოგდება, როგორსაც სხვა სახელ-
მწიფოები ან თვითონ გერმანია დაყბულ-
დება, მას არას გზით არ უნდა.
დიდი ცვლილება გამოიწვია ახლან-
დელმა მსოფლიო ომმა ინგლისის სა-
ხელმწიფოებრივ ცხოვრებაში. უზარმაზარი

სავაქრო და სახმედრო ფლოტი ატლან-
ტის ოკეანეში უძრავი შეიქმნა. დღითი-
დღე ის სუსტდება—უზარმაზარი ხომალ-
დები შეუბრძოლებლათ ზღვის უფსკრულ-
ში ითქმება, სავაქრო გემი, რომელიც
კი გაბედვას და ადგილიდან დაიძვრება,
გერმანიის წყალქვეშა ნავის ტორპედოს
მსხვერპლი ხდება. აქედან ცხადია, რომ
ინგლისის ვაქრობაც—საქონლის გაზიდვა-
შემოტანაც ძალიან შესუსტდა.

შინაც მრეწველობა შესუსტებულიათ:
ომმა განსაკუთრებით აქ, სადაც მუდმივი
ჯარი არ იყო, მუშა ხელის მეტი სიმკრ-
ვე გამოიწვია: ახალგაზრდობა ჯარში ჩაე-
წერა და მასძლიის ველზე გავიდა. საკმაო
სახმედრო მასალის ღრვებ დასამზადებ-
ლათ მთავრობას არა ჩვეულებრივი ზომე-
ბის მიღება დასჭირდა, რის გამოც სხვა
დარგებიდან მუშა ხელი ამ სფეროში გა-
დავიდა, ამ რიგათ დანარჩენ დარგებში
მუშაობა—წარმოება ძალზე შემცირდა.

სახელმწიფოს მართვა-გამგეობაც, ინგლი-
სის ქებული პარლამენტარისმიც საგრძნო-
ბლათ შეიკრია. ცხრა თვე ომის გრძე-
ლის ქროლას კიდევ გაუძლო ინგლისის
ლიბერალურმა მთავრობამ და მეთავე კი
შედრკა, შეტორტმანდა და იძულებული
გახდა იმასაც „სამღვთო ერთობა“, ძალთა
კოალიცია აღერებია. მისში ინგლისის
ლიბერალურმა ქელი მოიხარა და ასკვარტა
თავის კაბინეტში კონსერვატორებიც მი-
იწვია. ახლა „უნიონისტები“ და ლიბე-
რალები ერთათ განაგებენ სახელმწიფოს
სებებდ და ცხადია რაც დრო მიდის და
ომი ძლიერდება, მით უფრო კონსერვა-
ტიული ელემენტი ძლიერდება: ცნობილ-
ლი კონსერვატორი ბალფური მეტ გავ-
ლენას იძენს და ინგლისს მტკიცე „მიზე-
რიალისტურ“ გზაზე აყენებს.

„საქარა, ასეთ ცვლილებების და იმ
მსხვერპლის შემდეგ, რაც ინგლისს ამ
ომში მოუვიდა, იგი ზავის პირობებს და
გერმანიის გამარჯვებას გულგრილათ ვერ
უყურებს.

„გერმანიის სრული გამარჯვება არავის
სწამს არც სხვაგან სადმე და არც ინგლის-
ში“—სწყრს ზემოხსენებული ლონდონელი
კორესპონდენტი. მაგრამ ერთი კი ყველა-
სათვის ცხადია: სახელმძღვანელო, რომ
დღეს გერმანია თითქმის მარტოთ უშკლა-
ვდება ირგვლივ მასზე მისეულ მტერს და
ბევრგან იმარჯვებს კიდევ; ამით ის თავის
ძლიერებას ამტკიცებს და ზავის, მორიგების
დროს, რა თქმა უნდა, თავის არსებულ
მდგომარეობის ღირსეულათ შენარჩუნე-
ბას მოითხოვს, რაზეც უარს ვერკენ
ტყვიის.

ბელგია-საფრანგეთის ტერიტორია რომ
დააცლევინონ გერმანიის, რუსეთის საზო-
გდებრივანაც ვანდენონ ის; ამით მისი
დამარცხება კიდევ არ შეიძლება; ის ამ
შემთხვევაში გამარჯვებულათ ჩაითვლე-
და ზავის პირობებშიც შეიძლება მიეცემა.
ერთი სიტყვით ამ შემთხვევაში „ზავი
ბარი-მარს“ გამოვა, გამოავება-დამარცხე-
ბა გათანაბრდება. ეს კი ინგლისისათვის
თავზარდამტკიცია: ამდენი მსხვერპლი, ამ-
დენი ენერჯის დახარჯვა სახელმწიფოებ-
რივი საფუძვლების შერყევა და გერმანიის
სხვერპლის კალაპოტში დატოვება, მისი
ეკონომიური ძლიერების და სავრთაშო-
სო მდგომარეობის წინანდებურ პირობებ-
ში დატოვება, ეს ხომ მსოფლიო ბაზარზე
წინანდელი მძლავრ მეტოქის, უმწვერვა-
ლესათ შეიარაღებული მტრის, გერმანიის
ხელუხლებლათ დატოვებას ნიშნავს!

ეს ხომ ეკრეთ წოდებული „Status
quo ante“-ს ძალაში დარჩენას მოასწავებს!
— ელო.

შუთისი 22 მაისი.

ჩვენი პრესის მთქვა, რომ მთელ სა-
ქართველოში შიმშილი გამეფდა, რომ
არის ისეთი კუთხეები, მაგალითად, სამე-
გრელო, სადაც შიმშილობამ იმ უკიდრეს
წერტულამდე მიღწერა, რომ ხაროვა ხალ-
ხისა სოფლიდან სოფლათ დადის და გზა-
ზედ მიმავალ საწოვავით დატვირთულ
ურმებს აჩერებს—არ ვასკრა. არა სჩანს,
რომ ამ ხმამ უწია სათანადო ადგილებამ-
დი, საიდანაც წველა უნდა ყოფილიყო.
სახელმწიფო ჩაფლულიათ ომის საქირბო-
როტო ზარუნვაში, ხოლო ქართველი სა-
ზოგადოება კი თვით არის დიდლი შვი-
ლი ქართველი სიღარიბისა და ამ რიგ-
არავინ არ არის, რომ დამშეულ ხალხზედ
იზრუნოს.

რა უნდა გქნათ ასეთ პირობებში? „სა-
ხალხო ფურცლის“ უკანასკნელ ნომერში
უყვე იყო აღნიშნული და ჩვენ უფრო
ხასხასამით უნდა გავიფიქროთ, რომ გვაქს
ისეთი დაწესებულებანი, რომელთაც შე-
ეძლოთ მკეროდან დახმარების აღწერა.
მა მინც, მისში ყველა ჩვენი დაწესებუ-
ლებათა წლიური კრებები იმართება: მათ
ში არიან ისეთებიც, რომელთაც საკუთა-
რი თანხა აქვთ კულტურულ და საქველ-
მოქმედო მიზნებისათვის. მათ შორის
ისეთი ორგანიზაციებიც, რომელთაც
საკმაოდ დიდი თანხა აქვთ. ასეთებს ეკუთ-
ვნინთ თავდაზნაურთა კრებები და ჩვენი
ბანკები. რაოდენობა მოგებისა აქ ბანკებ-

ში, თქმა არ უნდა ერთხილი არ არს,
არაინ ისეთი ბანკები, რომლებიც მტრ
მოგებას იღებენ, შენაქსეც შენაქსეც
ანებიც, მაგრამ მთლიანად უნდა შე-
მინც დიდედნდით თავიშეკრას. ამ დივი-
დენდის პარტონებმა რომ ერთმანეთში
მოილაპარაკონ, შესაძლებელიათ ისეთი თან-
ხის შედგენა, რომლითაც საძირკველი
ჩაყვრება შიმშილის წინააღმდეგ ბრძო-
ლას. თასონობა ამ საქმეში თბილისის
თავდაზნაურთა კრებამ უნდა იკისროს,
რომლის სრულ უფლებაში გადადის თბი-
ლისის საადლო მამული ბანკის მოგება.
სამწუხაროთ ხარჯთაღრიცხვა თბილი-
სის თავდაზნაურობისა ესეა შედგენილი,
როს ჩვენი დროის ყველაზედ უფრო მწვე-
ვე საკითხს—ქართველი ხალხის დამშევას,
არც ერთი მუხლი არა აქვს მიჩნეულ
სავროთ ხარჯთაღრიცხვაში. თანხა კი,
რომელიც უნდა გააწაწილოს წელს თავ-
დაზნაურობამ 400.000 მანეთს აღემა-
ტება და თუ ამოდენა თანხის გაწაწილე-
ბის დროს დამშევის საკითხი გამოპარ-
ვით ხარჯთაღრიცხვის შემდგენელებს,
ეს უფრო ძველი ჩვეულების ბრალიათ,
ვიდრე სხვა რაქე მოსახრებისა, ძველ
ხარჯთაღრიცხვებში დამშეულთა საკითხ
არასოდეს არ ყოფილა დასმული. მაგ-
რამ ეს ხნებოდა მტრამ, რომასეთი შიმში-
ლი არცა სწვევია საქართველოს ოდესმე.
ამიტომ, ვიდრე ხარჯთაღრიცხვა დაქტ-
კიუბულიათ არ არის და ვიდრე ცვლილე-
ბის შეტანა ყოველთვის მოსახრებელიათ,
საქირბო თბილისის თავდაზნაურობის
კრებაზედ აღიძრას ამხედ საკითხი, რუ-
სეთის ავოლნო-ეკონომიჩესკოე ომშესტ-
ვომ“ უყვე რამდენჯერმე გადაგზავნა
ფულები დამშეულთა დასახმარებლათ და
ყოველად შეუწყნარებელი იქნება, რომ
ჩვენმა თავდაზნაურობამ არაფერი არ
იღონოს დამშეულებისათვის.

იმის იმედი, რომ თბილისის თავდაზ-
ნაურობა დიდი თანხის გადადგებას შეს-
ძლებს, არ უნდა გქვანდეს. თავდაზნაუ-
რობის ხარჯთაღრიცხვა ისეა შედგენილი,
რომ მხოლოდ საქმეში ჩაუხედველ კაცს
შეუძლია ეგონოს, რომ ყველა ოთხისი
ათასი მანეთის დახარჯვა შეიძლება ისე,
როგორც ჩვენ მოგვეპირანება, ან რო-
გორც დრო მოითხოვს, ხარჯთაღრიც-
ხვაში ისეთი პარაგრაფებიც არის, რომლებ-
შიც არას გზით არ შეიძლება. ამას მო-
ითხოვს ღრმა ინტერესი თვით ბიუდეტე-
ტისა.
ამიტომ დამშევის საკითხში თბილისის
თავდაზნაურობა მარტო არ უნდა დავ-
ტოვოთ. მას გვერდში უნდა ამოუდგნენ

მოკლა სიხუზა დიდ სამშობლო.

ქართული ჩვეულებანი

(დასასრული იხ. გაზ. „სამშობლო“ № 82).

ველური კი არა, მაშინდელი ადგილო-
ბრივი დროს ვატარებდა, განსაკუთრებით
სამეგრელოში, ჩემს პატარაობას რომ მი-
ხანავს, ახლანდელ დროისთვის უმადლეს
კულტურის თვალთ წარბაცოი სანახაობა
იქნებოდა. ადღგომის დღიდან დაწყებუ-
ლი პირველ ავგისტომდი ე. ი. მთელ გა-
ზაფხულს და ზაფხულს ხალხი ყოველ
კვრთა უქმეს ჯგარში გამოდიოდა, სახლ-
ში მარტო დედაბრები რჩებოდნენ. აქ
ათასწარი გასართობში დროს ატარებდნენ
წმინდა პავრში „მოედანში“. ყოველ სო-
ფელს იმერეთისას პქონდა გამართული
მოედანი ეკლესიის ახლოს, იქ უსათუოდ
დიდი ხეები იდგა, მათ ჩრდილ ქვეშ
იმართებოდა ცეკვა-თამაში დღორი, მუსი-
კით, სიმღერებით. ბავშვები ბურთაობ-
დნენ, ათასწარი სათამაშოებით ფოზიკუ-
რად იწვრთნებოდნენ, ზნეობრივ და გო-
ნებრივ იზრდებოდნენ, ჰვალდებოდნენ,
საზოგადოებრივ ცხოვრებას ეჩვეოდნენ;
მოხუცებულნი ცალკე თათბირობდნენ,
ვიკაცები ისრის სროლაში და ცხენოს-
ნობაში ვარჯიშობდნენ.

როგორც მოგახსენეთ, ყოველ სოფელ-
ში იყო ყოველ კვირა დღე ეს მაიდნო-
ბა გამართული, სადაც თითქმის მთელი
სოფელი იკრიბებოდა, ერთმანეთს ეცნო-
ბოდა, ისვენებდა, საზოგადოებრივობას
ეჩვეოდა, ეროვნებოდა, გრძობა-გონე-
ბით ჰვალდებოდა, ახალ ცნობებით
დღითი დღე მდიდრდებოდა, სრულის ვარ-
ჯიშობით ფიზიკურათ მაგრდებოდა, ყო-
ჩალობაში ხელოვნებოდა... განა შეი-
ძლება კაცმა ჩამოსთავლოს ის ათასწარი
კეთილი, რაც ამ ჯგარანობამ? ანუ მო-
ედანობა? მოსდევდა? დღობებში ხომ
უთავალღვი ხალხი აწუცებოდა ყველა სო-
ფლებიდან ამ მოედნებს და მათი ცეკ-

ვა-თამაშობა-ვართობა სოცარი სანახაო-
ბა იყო.
პირველად დასწრებულნი უტოქიკეების
კაცები იტყოდნენ ხოლმე: Это Агний!
Это—Олимпийские игры! და თავის
განცვიფრებას არ მალავდნენ, რომ ეგრო-
პიდან ამისთანა გადაკარგულ ქვეყანაში
არ ველოდითო ამ სიმაღლემდი აწვეულ
თავისებურ კულტურას, რომლის ნასა-
ხიცი არ იპოვება გონებით განათლებულს,
მაგრამ შინაურ კულტურით დარბი ევ-
როპის ხალხშიო.

ჩვენებური ქორწილი და ტირილი ხომ
ისეთი რთული ეროვნული დაწესებულე-
ბაა, რომ მთელი ტომები უნდა დაიწე-
როს, რომ დაახლოვებით მინც წარპო-
იდგნოს კაცმა ის სიდიდე ქართველი
ერის გენიოსობისა, რომელმაც შექმნა
ასეთი რთული და მეტად სათნოიანი
ჩვეულებანი; აქ მთელი დრამა ხალხის
გენიოსობისაგან თხზული, ან ტრადიცი-
ული (ტირილი), რომელიც ერის გენიოსობამ
საუკუნეთა განმავლობაში შესთხვა, და-
ავაჩონა, დადათა და გადმოგვცა ჩვენ
საშვილიშვილოდ, როგორც უძვირფასესი
მათი განძი და ანდერძად დაგვიდო—ეს
ეროვნული დიდი ქმნილება შეიღოთა-
შვილებს შეუმწიკველად და შეუბლა-
ლავად გადავცეთ, მოდგმიით მოდგმად
შევიანხოთ, სანამ დედამიწაზე არსებობს
მათი შემქმნელი ერი. ამ განძის დაქვება
არ შეუძლია შემდეგს მოდგმას, შემოტე-
ბა და გაბრწყინება კი ვალად აქვს.

მოედანობიდან, ქორწილიდან და სხვა
დროს გასატარებელ დაწესებულებიდან
(სადაც ჩვეულებანი ძველებურად სწარ-
მოებდნენ) ხალხი ბრუნდებოდა ყელამდი
საყე სასიხარულო შთაბეჭდილებით, სუ-
ლოერიად და ხორციელად მოსვენებული.
მას ბევრ ხანს ეყოფოდა ეს შთაბეჭდი-
ლება სულის სახრდოთ; მას დიდხანს არ
მოუნდებოდა არც დუქნებში ლოთო-
ბა, რესტორანებში ქეიფობა, ბანქობა,

ოჯახს ვარდ დროს ვატარებდა და სხ.
რატომ? იმიტომ რომ სულიერად შამდარ-
ი იყო თამაშობაში მიღებულ შთაბეჭ-
დილებით. თვითონ „ტირილი“ ხომ ღრმა
სამწუხარო შთაბეჭდილებას სტოვებს კა-
ციის არსებაში, მაგრამ მინც ისევე არ
თობს კაცს, როგორც სასიხარულო სა-
თამაშობებიც, რადგან ყოველმა პსიხო-
ლოგმა იცის, რომ სულიერი მოსვენება
სულის უმოქმედებით კი არ მოიხვეჭება,
არამედ შთაბეჭდილებათა გამოცეცხლა;
და, საზოგადოთ, მოსვენება მდგომარე-
ობის ყოველდღიურ დუხტორ შრომის გა-
მოცვლაში ახალ შთაბეჭდილებათაგან ახალ
საზოგადოების წრეში. ამიტომ არის,
რომ რამდენადაც ჩვენმა „შუქურებმა“ თა-
ვისი მოქმედებით (პროპაგანდით) ცხო-
ველი ზედ მოქმედება დაუკარგეს ხალ-
ხურ ჩვეულებათა, სწორედ იმდენადვე
ჩვენი ოდესმე ზრდილი ხალხი გამართა
მოედნების ნაცვლად დუქნებში, ჩვენე-
ბური უებარი ღზინი შესცვალა სი-
მთავრად: დღეს რომ „საღდათურად
თვრებიან“ იმისი მომსავსო ჩვენში წიწთ
არ გავაჩონა! დღევანდელი გადაგვარე-
ბული, „შუქურების“ პროპაგანდით ერო-
ვნობიდან გავარდნილი სოფელი კაცი
ზოგან სახლში სულაც არ ქეიფობს, ოჯა-
ხში პურს არ გაქმევთ, ცოლშვილს არ
გახაბრებს, ისე ნაშოვენ გროშებს დუქან-
ში ხარჯავს, იქ დატყავთ, ირყენება და
ფლავდება „დუქნურ“ სიმღერას იწაწაწა-
დარობა“ მორგეში, სულიერად იწაწაწა
ქართველისთვის უტოქო და საზიზარს გა-
რემობაში, თანდათან ეროვნულ წრეს
შორდება, სანამ სრულიად გავარდნილი
არ შეიქმნება ქართველობიდან, სულ არ
„გაშუქურდება“—და საბოლოოდ არ შეი-
ძლებს ქართველთ ზნე-ჩვეულებათადათებს.

„გაშუქურებული“ სოფლის კლესა ხომ,
თუ სკოლაში დასწავლიათ და ქალაქებში
ნათრევია მუშად, ცხარე პროპაგანდისტურ
გახლავთ, წინააღმდეგ ქართულ ზნე-ჩვეუ-
ლებათა და მჭერმეტყველი მქადაგებელია
დუქნურ ზნეობისა, საზიზარო ტიპია!
უსაძაველსი მოვლენაა ნაყოფი „შუქუ-
რისებურის“ ხანგრძლივს პროპაგანდისა,
რათა ჩვენს ერს დაუკარგონ ზუნებრი-
ვი ძველი პატრიარქი გზა საკუთარის თავი-
სებურ კულტურული ცხოვრებისა და
ჩაგვარონ დუქან-რესტორანების მორგეში,
ზნეობრივს წუმბეში, „საღდათური კულ-
ტურა“ (ე. ი. სრული უკულტურობა)
ხელში ჩაგვართონ ნაცვლად ჩვენის კლა-
სიკურ კულტურისა, რომლის შეგავსიც
არ შეუქმნიათ გონებით განათლებულ,
მაგრამ კულტურულად დაბლა მდგარ ევ-
როპიელ ნაციებსა.

მართლაც, ვინც კარგა იცნობს შინა-
ურს წყობილებას ევროპიელ ნაციებისას,
იქ სოფლის ხალხი (ბურჟუაზია-კი თავისი
კლუბები მოიწყეს, მაგრამ ვაი იმ კლუ-
ბებს: ვისაც ბევრი ნაცნობები არ ჰყავს,
იქ მოწყენილობის მერს სიამოვნებას ბევრს
ვერ წამოიღებს) იხორბობა მოწყენილო-
ბით; დროს გასართობი დაწესებულებანი
არა აქვთ, ან სულ ცოტა და ისიც ხში-
რად ფასს გასაღებას გასართობება. ყოველ
შემთხვევაში იქ ხალხი მეტად დარბიბია
სავრო უფასო გასართობებით. მაგრამ თუ
რომელიმე ეროვნული გასართობი კულ-
ტურა შეუქმნიათ, იმას ისე ეტყობიან,
რომ არასგზით არ დასთხოვენ. მაგალი-
თად, ინგლისში მამულების დაქვლება არის
შემოღებული ნაციონალურ ჩვეულებად;
ან ისპანიაში ხარების ქიდავობა (რა შესა-
დარისია ჩვენებურ მაიდნობას, ბურთაო-
ბას, ან ყაბახობას, ყვინობას, ისრობას.
თან—თითოეული ესენი ნამდვილი სამ-
ხედრო აღლუმი იყო, მეთაურებს მხედართ
მოავრულ ნიქი უნდოდათ და ომში
განვითარებულ ხელოვნება(ც). თუნდ
ნეტყვების „შობის-ხეი“. (კრისტ ბაუმი)
ავარებელი ფული (მილიონები) იხარჯე-
ბოდა და იხარჯება ამ უპრო და უმს-
გავსო გასართობებში! რათა?—იმიტომ


რომ, თუმცა ვარგნობით უმსგავსო გა-
სართობებია, მაგრამ ერთი რომ მამაპაპე-
ბისაგან ნაანდერძებია, მათის ეროვნების
გამომეტყველია და მეორეც ის არის, რომ
ევროპიელს უფრო ესმის, ვინემ ჩვენს
„შუხურებს“, რომ რაც უნდა უმნიშე-
ნელო იყოს ჩვეულების ვარგნობა, მას
ახლავს ერთი დიდი და საწყუკარი ღირ-
სება: ამ ჩვეულების წყალობით თითქმის
მთელი ნაციო ერს აჯავახს აჯავახს,
ერთმანეთს ნახულობს, ერთიანდება, ერ-
თის ნაციონალურ გრძობით იმსკვალდება,
ეროვნულად იზრდება, ერთობის მაირადი
ცამდი იწვევა.

ყოველი შეკრებულემა ხალხისა საკრთო
ჩვეულებათა ბაანდას ქვეშ აძლიერებს
„ნაციას“, აცხოველებს ურთიერთისადმი
სიყვარულს, ჰქმნის ეროვნულ ერთობას,
ზრდის მომავალ გმირებს, ვაჟკაცურ სულს
შთაბერავს, ახელოვნებს, ავარჯიშებს,
ართობს—სულიერად და ხორციელად
ამაღლებს, ეს კარგად ესმის ევროპიელს
და ამიტომ არის, რომ ხარების და მამ-
ულების დაქვლება დიდ ნაციონალურ დღე-
ობად მიიჩნიათ, მოლიონებს ხარჯავენ და
არას მიხეზისთვის ამ ჩვეულებას არ მოი-
შლიან. ვამიგონია, ნემცივი რომ სადმე
გადაკარგულ კუნძულში მარტო-მარტოც
დარჩესო, „შობის ხეი“ (კრისტ ბაუმი)
მინც ვაიკეთობისა: ნაციონალური მისი
გასართობია და იმიტომ.

ჩვენი „შუქურები“-კი შობის ხეს მარ-
თლა უმართავენ მოწყალებს, სწორედ
იმიტომ რომ ეს ჩვეულება ნემციებისა,
მაგრამ ქართული გასართობები ბავშვებს
უჩვენონ—ღმერთი გაუყვრებთ! მეერ რა
უთავალღვი ქართული გასართობები: სხვა
საშობაო, სხვა არის სახალწლო, სხვა
ნეტყვების „შობის-ხეი“. (კრისტ ბაუმი)
ავარებელი ფული (მილიონები) იხარჯე-
ბოდა და იხარჯება ამ უპრო და უმს-
გავსო გასართობებში! რათა?—იმიტომ

რომ, თუმცა ვარგნობით უმსგავსო გა-
სართობებია, მაგრამ ერთი რომ მამაპაპე-
ბისაგან ნაანდერძებია, მათის ეროვნების
გამომეტყველია და მეორეც ის არის, რომ
ევროპიელს უფრო ესმის, ვინემ ჩვენს
„შუხურებს“, რომ რაც უნდა უმნიშე-
ნელო იყოს ჩვეულების ვარგნობა, მას
ახლავს ერთი დიდი და საწყუკარი ღირ-
სება: ამ ჩვეულების წყალობით თითქმის
მთელი ნაციო ერს აჯავახს აჯავახს,
ერთმანეთს ნახულობს, ერთიანდება, ერ-
თის ნაციონალურ გრძობით იმსკვალდება,
ეროვნულად იზრდება, ერთობის მაირადი
ცამდი იწვევა.

ყოველი შეკრებულემა ხალხისა საკრთო
ჩვეულებათა ბაანდას ქვეშ აძლიერებს
„ნ



ქუთაისის საადგილო-მასულო ბანკი, შემდგომი დაგვარაობა, ჩვენი საკრედიტო დაწესებულებანი, რომელთა რიცხვი საქართველოში თხუთმეტამდე არის და თვით სოფლის წვრილი კრედიტის დაწესებულებანიც. ეს პატარა საკრედიტო დაწესებულებანი უკვე ანაწილებენ თავის მოგებას საქველმოქმედო საქმეებზე და მათ დახმარებას როგორც მატერიალურად, ისე ზნეობრივად ღირს მნიშვნელობა ექნება.

ყველა ამ დაწესებულებათა საერთო მოქმედებით და საერთო წვლილის გაღებით—შეიქმნება ისეთი თანხა შესადგეს, რომლითაც დამშუულთა დახმარების საქმე ადვილად მოეწყობა. მაგრამ ეს უნდა მოხდეს მალე, რადგანა ვითარება უკიდურესია.

ახალი ამბავი.

მთავრობის განკარგულებისამებრ, ვისაც კი სურს ბათომში შესვლა, ამის ნებართვა უნდა აიღოს ბათომის სახელრო კამენდანტისაგან.

20 მაისს ქუთაისში ჩამოვიდა მალოროსიელთა დასი და წარმოდგენებს გამართვას შეუდგა. ეს დასი ქუთაისში ამ თვის გასვლამდე დარჩება.

19 მაისს, ქალაქის თეატრში მსახიობმა ალ. მგალობლიშვილმა გამართა წარმოდგენა, წარმოდგენილი იქნა რამდენიმე სურათი „ღონე-კახტიდან“, წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა, ხალხიც ბლომით დაესწრო.

გუშინ, 21 მაისს, დასრულდა ბაღდადის უბნის ახალგაზდათა გაწვევა სამხედრო ბეგარის მოსახლეობა. სამტრედიის უბნის ახალგაზდათა გაწვევა კი დღეს 22 მაისს დაიწყება და 28 მაისამდის გასტანს.

დევანოზ მელიტონ ცაგერიშვილმა გიორგი სვანიძის ომლების სასარგებლოდ შემოსწირა 1 მანეთი.

20 მაისს, ქალაქის თეატრის თეატრის დარბაზში ქალაქის საბჭოს კრება წვერთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, არ შესდგა.

გუშინდელ ჩვენს გაზეთში მოთავსებული ცნობა—„სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილება გაარჩევს ვლადიმერ წერეთლისა და სხვების საქმესა“—არ შეეხება ქუთაისში მცხოვრებ პატივცემულ ვლადიმერ ჯიბოხს-ქე წერეთელს.

ოპა, ჯარობანა, ქარაგნობა, ბურთაობა, ქარობანა, ფერხული. „შუქურებს“ ეს და ამისთანები თვალთ არ მოსდით და სკოლიდან სდევნიან, როგორც ნაყოფს ვითომ ქართველების ველურობისას. მაგრამ ეს მითითა, რას სჩადიან?

როდესაც ნემცი და საზოგადოთ ყველა განათლებული ვერობის ერები თავისს შიშობდა უმსგავსო ზნეობრივებით და ენებით მისდევენ, თუნდ გადაკარგულ ქვეყანაში იყვნენ, ან საომარ ჯებირებში იხსდნენ, მათ კარგათ ესმით რას შერებინან. ფილოსოფიურად გვაჯობებს უნდა ვეძიებოდეთ ისეთი, რომელიც „საყოფის“ უმტკიცესია—საქირთა ვაერთიანება აღიზნის ერთ ეროვნებად ერთ სწავლებას, შეწყობით, საერთო ეროვნულ უბიძგურებს კავშირით. განა ამ აზრის სიღრმეში ჩასწვდება ჩვენებური „ზეზუა“ შექურა?...

ჩასწვდება-კი არა, „შადრევანის-შუქურა“ ერთ არჩევს ზნეობრივებითა ცრუმორწმუნეობისაგან და მე რო ქართულ ზნეობრივებს ვიცავ, „შუქურა“ საყოფითაოდ მნიშვნელობს: ცრუმორწმუნეობას იცავს—მეტიხაობას, მისნობას, კულანობას... ე. ი. შუქურები ვერ არჩევენ ჩვენებულთა ცრუმორწმუნეობისაგან! ასეთი ღრმა ჩვენი (ე. ი. შუქურების) უპრობა თავისთვისა, ჩვენის ერისა, მისის ჯან-ჩაიანისა.

ახლა ჩვენ გავარჩიოთ, რამდენად მარაღალია შუქურის აზრი, ვითომ ხალხის მუდმივად გამალატაკებელი არიან ჩვენის ერისა.

ბაზრის ზედა მხედველმა ი. გელოვანმა ქატოს მეტ ფასში გაყიდვისათვის ოქმი შეუდგინა ნიკო ტერსარქისიანსა და სიმონ ბარქიას.

თბილისი.

თავისუფლება სტიკენდავა. 19 მაისს ქ. შ. წ. კიხეის გამაგრ. საზოგადოების გამგებობის კრება მოხდა. გამგებობამ გამოარკვია იმ სტიკენდიათა რაოდენობა, რომელიც უნდა განთავისუფლდეს მომავალ სამოსწავლო წლიდან. გამოარკვია, რომ ამ დროისთვის თავისუფალი იქნება 10 სტიკენდია: 7 ზუბალაშვილისა, ხოლო 3—სარაჯიშვილის სახელობისა. სტიკენდიებს ათავისუფლებენ შემდეგი პირნი: თამარა ძნელიძე, შალვა ტატიშვილი, ანა ხახუტაშვილი, გიორგი ჩიტია, სილოვან ყიფიანი, დავით ჩხიძე. სიმონ ფარცხელაური, ქრისტეფორე ამილახვარი, ნინო ციციშვილი და ალექსანდრე ციციშვილი. თბილისში მიიღება ქ. შ. წ. კიხეის გამაგრ. საზოგადოების კანცელარიაში. მთხოველთა უნდა წარადგინონ უნივერსიტეტში ჩარიცხვისა და სილარობის მოწოდებები.

ქართველ მოღვაწეთა მნიშვნელობა. როგორც ვწერდით, საბოლოოდ გადაწყდა, რომ დღეებში მოწყობილი იქნას პანთეონი სახელოვან ქართველ მამულიშვილთა ნეშთის დასაქრძალავად. ამ საქმეს კისრულობს ქ. შ. წ. კიხეის გამაგრ. საზოგადოება, რომელმაც სასინოდო კანტორისაგან უკვე მიიღო უფლება აღგლის შექმნისა დიდუბის ეკლესიის გალავანში ეს ადგილი მდებარეობს ა. გორჯაძისა და დ. სარაჯიშვილის საფლავების დასავლეთით გალავანის კედლამდე. აღგლის სასინოდო კანტორა უთმობს 5000 მანეთად. იმ პირობით, რომ საზოგადოებამ ხუთი წლის განმავლობაში თანასწორ ნაწილათ გადაიხადოს ეს ფული. საზოგადოების გამგებამ დაადგინა, პანთეონის მოწყობის თაობაზე მოსალაპარაკებლად მოიწვიოს ნების აღმასრულებელნი: დავით სარაჯიშვილისა, ნ. დოლობერიძისა და ზ. ცხვედაძისა.

დაბასოფელი.

ს. ც ა ი შ ი (ოლიში)

არა ერთხელ დაწერილა სოფელი ცაიშის ბუნებრივ სიმდიდრესილიაზეზე. მართლაც, ამ სოფელს პირველი ადგილი უჭირავს მთელს ზუგდიდის მაზრაში, როგორც საავარაკო, ისე შემოსავლიან ადგილს. ვერ შეგვხვდებით ისეთს უკანასკნელ გლეხკაცს, რომელსაც ნახევარ ქვევამდე მაინც არ ჰქონდეს მიწა დღის ბურჯებით ვადარგული,—რომელიც დიდ შემოსავლს იძლევა, თუმიც წრუქულს ვერ დაემაყოფილა ხალხი, საშინელი შიმშილი კარგად ხანია მუსრქავლებს ჩვენს სოფელსაც. ინტელიგენტთა რიცხვი აქ საკმაოდ არის და საშუალებაც ნებას აძლევს კულტურულად წინ წასწიოს ეს სოფელი, საუბედუროდ ამისთვის არცინ ცდილობს. აქ არსებობს ერთადერთი საკრედიტო ბანკი.

28 აპრილს მოხდა ამხანაგობის წლიური კრება. ამ დღეს ზოგერთმა ვაბატონმა, რომელსაც თავი ხალხის „მოქირანბულე“ მოაქვს და, რომელიც მთა და ბაზრის გასწორებას ფიქრობს, სასტიკი ავიტაცია გამართა ბანკის წევრების წინააღმდეგ, რათა დაეთხოვათ ძველი წევრები და თვითონ ამორჩეული ყოფილიყვნენ წევრებდ. მაგრამ გაიგო რა საზოგადოებამ მათი ხრკები და ბანკის წარსულ წლის კარგად მიმდინარეობა, ისევ ძველი წევრები ამოიჩინა (გარდა ერთი წევრისა, რომელმაც თავის სურვილით დაანება თავი) და დიდი მაღლობაც გამოუტყდა ამ საპატია პირებს. რა თქმა უნდა, ეს არ „ეპრიანათ“ ჩვენს გიორგის, რომლებსაც თავში უდგას მეტად გავრთნილი „ამისთანა საქმეებში“ ბ. ა. გავა. ბ. გავა შარშან მესამე წევრი იყო, ახლა კი კანდიტატობაც არ მისცეს; სამაგიეროდ თვეში ათჯერ ახდენს რევიზიას; ვინ იცის რა მიზეზით!

ჩემის ფიქრით, უკეთესი იქნებოდა, რომ ეს ახალთაობა იფიქრებდეს შკოლებზე, ბიბლიოთეკა-სამკითხველოზე, წარმოდგენების მართვაზე და სხვ... მარტო ბანკის წევრობით ვერ დამისახურებენ ხალხის სიყვარულს. აგერ მთელ სამეგრელოს რაღაც გამოღვიძება ეტყობა, ყველგან არსდება ბიბლიოთეკა-სამკითხველო და ჩვენ კი რა გვიშლის ხელს, თუ არა ჩვენი უვიცობა.

ამის გარდა არ შემოიძლია არ აღენიშნო შემდეგი: ცაიშის სასწავლებლები ცოტა ყურადღებას აქცევენ ქართულ ენას. იმედია ახალი-მასწ. ბ. ფარულავა ისევ აღადგენს განსვენებულ ასაგან მოსპობილ დედა-ენას.

ტაბახა.

ზეპო სვანთი.

„უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწია“, სწორეთ სვანეთზე არის ნათქვამი. სვანეთი კუთხეა საქართველოსი, რომელიც სავანდა ჰქონდა ძველს დროში საქართველოს და მიანდა საუკეთესო მაგარ და ღონიერ ნაწილათ, დღეს დაბეჩავებულია და ლამის მთლათ ამოიფხვრას სვანთა სახელით.

რომ გადავავლოთ თვალი სვანეთის მდგომარეობას, მგონი, ყოველ ქართველს გული სევდით აევსოს და თვალები ცრემლით, როდესაც მთლათ გაიგებს მის ავიკარგობას. ჯერ სვანეთი იტანჯება უგზობობით, მთელი ცხრა თვე ჩაკეტილია და არსადან შესავალი არარის, ასე რომ, თუ კაცს სვანეთიდან ან სვანეთში წასვლა დასჭირდა, უნდა გამოიხიზნოს თავის ყოველ ნათესავებს, არ იცის თუ მათზე, რომელიც ერთად ერთი საშუალებაა მიმოსვლისათვის გადარჩება ცოცხალი თუ არა, არ იცის, რადგან არ გადის ისეთი ზამთარი, რომ რამდენიმე არ ემსხვერპლოს შვავს, ზოგს კი იანვარში დალუპულს მისში ნახულობენ.

ძლიერ ნაკლებია ისეთი მოსახლე, რომ მოსავლით ირჩინოს თავი უყიდალთ, და ამისათვის ეკენისაფიდან მოკიდებული მისის დამღვამილ სვანი მიდის საქართველოს სხვა კუთხეებში სამუშაოვრათ, რომ იშოვნოს ცოტადენი ფული და ნაშოვნი ფულით თავისი დაცემული ოჯახი გამოკვებოს. ბევრი ვერ იტანს სხვა პაერს და ავითყოფი ბრუნდება შინ, ანდა კვდება შორს თავის სახლიდან, უპატრონოთ.

სიმშობა აქ ხშირია და გლეხკაცობა ძლიერ გავრცელებული არის ჩავივნიული. არსიდან შეველა არ არის. საჭიროა, ბატონებო, მეტო ყურადღება მიექცეს ბეჩავ სვანებს, ისინიც მონაწილენი არიან ჩვენი სისხლით მოწყულ ისტორიისა, ისინიც მომძინი არიან ტურფა კოლხნა-ივერია-მესხეთისა და სირცხვლია თქვენნი, პატივცემული ქართველნი, ვერ უპატრონოთ და უყურადღებოთ დატყვევება მისი. წარსულ წელს ყველგან დარაგდა საკვები, ხოლო სვანეთში კი არც გავიგია რამე, გარდა იმისა, რომ გლეხკაცობა შიმშილით იხრუკებოდა.

რაც შეეხება მეომართ ოჯახებს, ძლიერ სივიწროვესა და გავიგრებას განიცდიან. მათ ოჯახებს ეძლევათ დახმარება და დარიგებული აქვთ წიგნები, რომელთაშიც არის აღნიშნული, თუ რამდენი უნდა მიიღონ თვიურათ, მაგრამ ძლიერ მცირე ხვედებით, მაგალითად: ერთს ჰყავს ცოლი და ხუთი შვილი, რომელსაც უწერია თვეში 18 მან. 14 კაპ. ამას წინათ სამისთვის ერთად მიეცათ 33 მან. 9 შაური, დააღლდა 20 მან. და 97 კაპ. და ამისთანა „შეცდომები“, ვინ იცის, რამდენია. რას მივაწეროთ ეს „შეცდომები“, არ ვიცი. ხოლო ეს კი, რომ ასეთი შეცდომები არ უნდა იყოს დაშვებული. ოცი მანეთი კი არა და, გავიგრებულ ადამიანისთვის კაპიკიც დიდ რამეს ნიშნავს, საჭიროა ყურადღება მიექციოს ამ მოვლენას ვისიც ჯერ არს, რომ მეორეთ არ გამეორდეს ასეთი „შეცდომები“, საჭიროა აგრეთვე პატივცემული საზოგადოება ყურადღებას მიექცეოდეს მივიწყებულ სვანეთს და რამე საშუალებით შეუმსუბუქებდეს ჩავრულ სვანებს მძიმე ტვირთს.

მისა პირველი.

ფირილი კიევიდან.

მომე აქარლების უნუგეზო მდგომარეობამ, რომელიც გამოიწვია დღევანდელი ომის ქარტეზილია (მადლობა ღმერთს, ამას ხომ დღეს თვით რუსეთის პრესაც კარგათ ხედავს) აქაურ როგორც უნივერსიტეტის, ისე კომერციულისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების ქართველობაში სათანადო თანაგრძნობა გამოიწვია. საზოგადოთ, ქართველი სტუდენტობა შესაფერათ შეხვდა იმ საერთო გამოძახილს, რომელიც ასე მაგრათ გაისმა ამ ბოლოდროს ყველა ჩვენი პერიოდული გამოცემის ფურცლებზე. ხმა იგი მოუწოდებდა მთელ ქართველობას, გაენაწილებოდა მოძიეთა მშუბარება, გავლო ფული დანგრეული სამშობლო კუთხის აღსადგენათ, ერთხელ კიდევ დამტკიცებია, რომ ქირში უნდა სიყვარული და მითხელი შეგვეწყო დაწყვეტილი იმ სიმების გამბას, რომელსაც ისე დაუღალავათ გვიმღეროდა ჩვენი უკვდავი აკაკი. დღეს ყოველი შეგნებული ქართველის ზნეობრივი მოვალეობაა ხანი მისცეს ამ გამოძახილს და აქაური სტუდენტობაც ცდილობს არ ჩამორჩეს სხვას. აღარავინ ენანება უკანასკნელი გროშიც კი გაიღოს, ოლონდაც საქმე მართლა მოეწყოს, ოლონდაც მისი წვლილიც იქნეს მიტანილი დიდი საქმის საქართველებზე. მაგრამ თუ მაინც დღემდე ეს ჩვენი ხმა სხვაზე უფრო სუსტია—ამის მიზეზი უფროა, არა როგორც ამას წინათ იყავით, არა როგორც ეს კიევისსაზე იქმის. ყოველივე ქართველ მოქმედებას, კინეტიურ ძალას, ყოველგვარ აზრის შეხლამო-შემოხლას, კამათ-მსჯელობას ერთიგეობის გაცნობა-დაახლოებას სურთოდ, კიევის სტუდენტობა მოკლებულია დღეს. ამ საერთო სტუდენტობაში სხვა მრავალი ერის მომავალ თაობათა შორის ქართველი სტუდენტობაც ვერ შეადგენს გამოძახილის.

უბრალო თავმეყრილობა რაა, იგიც კი ვერ მოგვიხერხებია დღევანდელ პირობებში... გულის სიღრმიდან ამოხეტილი სურვილი რომელიმე ჩვენს სამადლეო საქირობოროტო საკითხზე, რომელიც გამოიქვანება და განხილვებას მოითხოვს ვერ უძლებს ათასწიარ დაბრკოლებას და გულის სიღრმეშივე უხმოთ კვდება. ჩვენი უნივერსიტეტის ქართული სათვისტომო ჯერ ისედაც არა ოფიციალური იყო და ახლა ხომ მთლათ მიჩქმალულია მისი არსებობა...

ამიტომაცაა, რომ აქ რღებლისათვის ფულის შეგროვება, ისე, როგორც წინათ აკაცის ფონდისა და ქართული თეატრისათვის, აქ შეერთებული გამგებობის ქვეშ ვერ მოხერხდა. ფული ჯგუფ-ჯგუფათ იკრიბება და ნაწილდაწილათვე იგზავნება, სადაც ჯერ არს. სასიხარულო მხოლოდ ისაა, რომ ასეა თუ ისე ეს საქმე აქ, სხვა „წამოწყებული“ საქმესთან შედარებით უფრო ფხიანათ მიდის. უნივერსიტეტში ფული ზოგი მოიკრიბა და ზოგიც იკრიბება, კომერციულ ინსტიტუტშიც იქაური ქართველი სათვისტომოს (ოფიციალურათ „კავკასიური“ ქვია) ახლათ არ ჩეული თავდადობარის ბ. დიდებულის მეთაურობით ეს საქმე კარგათ მოეწყო. როგორც დანამდვილებით ვიცი, ფული იკრიბება.

ამასწინათ აქაური უმაღლესი კურსების მსმენელი ქართველი ქალები ვინახულე და საყვედური დამაყარეს „თქვენ აქარლებთა სასარგებლოთ ფული გავგზავნიათ და რატომ ჩვენც არ შეგვატყობინეთ, გამოვგარჩინეთო“.

სწანს, ეს აზრი ჩვენში კარგათ მომწიფებულია და ვუსურვოთ სასურველათ დაგვირგვინება.

კიევი ბევრი ომში დაქრილი ქართველი წევს. დღეს აქაური ლაზარეთების რიცხვი 200-ს აღემატება და რომ გულდასმით ჩამოიაროთ, თითქმის ყოველ მთავანში შეხვდებით სხვა მრავალთან ერთად 2—10-დი ქართველ მეომარსაც. მათ გვარსა და სახელს შეძლებისდაგვარათ ვუგზავნით „სახალხო ფურცელს“, საიდანაც შემდეგ „სამშობლო“-ც ბეჭდავს. ვინახულობთ კიდევ დროგამოშვებით. მიგაქვს ქართული გაზეთები, რომლებსაც თითო-ოროლა პატივცემული პირი გავწვდის. თქვენ უნდა ნახოთ რა სიხარულით შემოგვგებინან ხოლმე საბრალონი თვის „სასტუმროებიდან“, განსაკუთრებით ისინი, ვინც ქართული ენის იქით იჩინ-ბინჩიც არ იცის, როცა ძველი ქართული ქურნალ-გაზეთებით მოვიხანულებთ ხოლმე. ამა რა აქვთ მათ საერთო ისეთებს შორის, სადაც მათი არავის ესმის. ხშირია ასეთი შემთხვევა: ერთსა და იმავე საავითყოფოში ორი ქართველი წევს, მაგრამ ისე, რომ ერთი-ერთ ოთახში და მეორე-მეორეში. პირველმა არ იცის მეორეს არსებობა და მეორემ პირველის გადის თვეები. როგორც ერთი, ისე მეორე იტანჯება „უფნობით“; მუნჯათ შეყურებს ცივ კედლებს... ვინ იცის. ცას არ დაეწვიან, რომ იმათ ერთმანეთი

ნახონ, ენა აიღვან, წუხილი შემსუბუქოს გულთა ნადების ვახიარებით.

ქართული ზოგადი განათლება

დასასრულ უნდა აღენიშნო შემდეგი: ხშირათ მოგვემართებენ ხოლმე სამშობლოდან ქირისუფლები თხოვნით, ვაცნობოთ რამე მათი შვილებისა-აუუ ძმების შესახებ. ბევრი ისეთი პირის ამბავის გაგებას გვავალბებს, რომელიც სულ არ ყოფილა კიევი და არც წერებულა ქართულ გაზეთებში რამე ამგვარი; ან ყოფილა, მაგრამ ვინღა იცის, საით და როდის გაუყენეს გზას. ამიტომ ვათავსებ აქვე იმ მისამართებს, რომელთა შემწეობითაც მსურველს შეუძლია უფრო უტყუარი ცნობა მიიღოს ომში გაწვეულთა შესახებ, თუ ასეთები ან დაიჭრებიან და სადმე წევნ, ან დაიხიკენ ბრძლის ველზე ან და მტერს ტყვეთ ჩაუვარდენ.

ა.) დაქრილთა და ავითყოფთა შესახებ: Петроградъ. „Справочное Бюро о раненыхъ и больныхъ“ Басковая ул. д. № 12.

ბ.) ტყვეთა შესახებ: Петроградъ. „Российское Общество Краснаго Креста. Центральное Справочное Бюро о военнопленныхъ“.

გ.) მოკლულთა შესახებ: Петроградъ. Главнй Штабъ. Караванная ул. № 1.

თუ არა ჩვენ აქიდან კიდევ რომ ვიცნობოთ რამე ასეთებზე შევეცდომე სიხარულით ჩაითვლება, ვინაიდან ჩვენი კიევის „ბიურო“-ს უნდა მივებართოთ, მას კდგ სხვა ქალაქის „ბიურო“-ს აწვდის ცნობებს და ქართველების გვარებს ამდენ ხელში გამოვლიულს კი, არა შენ თვალწინ ამახინჯებენ.

ღია წერილი

მისხილის ბანკის რწმუნებულს ბ. ლ. ზარამ ხმაღამას.

ჩემდა სამწუხაროდ ვერ დავესწარი ბანკის რწმუნებულთა იმ სხდომას, რომელზედაც ბ. ხმაღამე დარჩენილ მამულებზე ლაპარაკი იწება.

როგორც ვადმოძებს, ბ. ხმაღამე დარწმუნებული არის, რომ მეტადრე ქუთაისის მაზრაში ისეთი უფარვის მამული არ მოიძებნება, რომელსაც დესეტინაზე 3 მანეთი შემოსავალი მაინც არ ჰქონდეს. განსაკუთრებით ხონის მამულები შემოსავლის პირობები სკოდნია რწმუნებულს ზედმიწევნით, რადგანაც თუ იქ არ დაბადებულა, აღზრდილა მაინც, და ის ადგილები, რომელსაც არავითარი შემოსავალი არა აქვს დღეს, ყოველ შემთხვევაში, 15 მანეთის შემოსავლას, რადგანაც ხონში მამული ერთობ ძვირობოდა, ბრძანებს ბ. ხმაღამე. მაგრამ აქაც იგივე ამბავი მომხდარა უთუოდ, როგორც ამბავიც ჩვენი პანსიონის ეკონომს ემართებოდა, განაგრობს ორატორი. როდესაც ამ ეკონომს კითხავდენ ხოლმე უფროსები: კაცო, რათ გინდა ერბო და კომპოსტო, განა გუშინ არ ვაყიდეთ თუთხმეტ-თუთხმეტი ფული, რომ ახლა გვიქრდებოდა? მაშინ ის უპასუხებდა ხოლმე: ბატონო, კომპოსტო „უსუსუა“ მოუვიდა და ერბოს—კი „უტუზაო“. ამ ოხუნჯურმა მავალითა კრებაში, თურმე მხიარულება გამოიწვია.

ასე, რომ ჩვენ მოუარავებს იგივე საქმის ერთგულთა ჩავიდინა, რაც ხმაღამის შემოსხნებულ ეკონომს, ე. ი. ბანკის მამულის შემოსავალი სადღაც გაგვპარავა. ამიტომ უმორჩილესთ ვთხოვ, ბ. რწმუნებულთა ხმაღამე, მიბრძანდეთ ხონს ჩემის ხარჯით და სხენებული ადგილები თითოეულად დაათვალიეროთ და არა თუ 15 მანეთად იჯარით გასცეთ ქვევა, არამედ 15 მანეთად თუ გაყილით ქვევა, დანარჩენ ხარაღს, რაც ბანკს მოუფე, მე საკუთარი საშუალებიდან აღვუდგენ და სამსახურსაც თავს დაეანებებ.

ხოლო თუ ხონის სხენებული ადგილები ამ ფასით ვერც გაყილით, და ვერც იჯარით გასცეთ, იმ შემთხვევაში, იმედი მაქვს თქვენს ბრალდებას საჯაროთ წამოთქმულს ჩვენდამი უკანვე წაიღებთ პრესის საშუალებით, და მასთან დასძენთ იმა-საც, რომ აქტარებულად და დაუფიქრებლად გინებეთ ჩვენთვის საბრალმდებლო ოქმის შედგენა. დარჩენილი მამულის მართველი ბ. მიქელაძე.

ზიანთურის რაიონის მფარველთა და შავი ძვის მფარველთა საპროკურატორი.

ინგლისის სატახტო ქალაქ ლონდონში მყოფი ჩვენი თანამემამულე დავით ლამაზიძე მის მიერ შედგენილ ჩვენი ქვეყნის უცხოეთთან ვაჭრობის მიმოხილვაში "მარგანეცის მრეწველობაზე, სხვადასხვა შორის, აი რასა სწერს ჩვენდა გასაგონად და საგულისსმინერო:

— 29 წლის განმავლობაში, 1884 წ.—1912 წ. ქიათურად გაზიდულა 120 მილ. მან. შავი ქვა, რომ იქიდან ჩვენებს ძლიერ კოტა შერჩათ, ეს ყველა იცის, ვინც შავი ქვის წარმოებას დაკვირვბია და ჩვენებური "მწარმოებლების" გაქირავებას იცნობს, რომელთაც ხშირად ბილეთების ფული არ აქვთ, რომ ქუთაისიდან ქიათურაში დაბრუნდნენ. ასეთი დიდებული წარმოება, რომელიც მთელი დასავლეთი საქართველოს ქონებრივი მდგომარეობისათვის დადამყვეტია, ევროპულმა კაპიტალის მსხვერპლი გახდა. ამას უმთავრესი ბრალი ჩვენების დაუდევრობას და უფიცობას უდევს. ვის არ ახსოვს ის ხანა, როდესაც წვრილი მესაკურთხე მადნიან ადგილებს მუქთად ყიდდნენ და აღებულ ფულს "მანახორს" და ნუნუას წვეწვში ხარჯავდნენ.

ბერძნების სპეკულიაცია (შემთხვევითი, იოლი მოგების სურვილი) საბოლოოდ სახელი გაუტეხა ქიათურას. თუ რამდენად საზარალო და უმსგავსი იყო ბერძნების როლი ამ საქმეში, ამას შემდეგიდან დავინახავთ: 15 ბერძენ ექსპორტორს გაუტაცნია 43 ქართული მრეწველობის 1912 წლამდის 131,735 მანეთი, ამავე ექსპორტორებს ბანკებიდან წაღებული აქვთ 520,000 მანეთი.

რომ ჩვენებს გამგებლობა ქონდეს და ყველაფერს გამოაშკარავებდეს, თუ რამდენი დევარგათ, კარგა დღი თანხა შესდგებოდა.

ბოლო დროს ევროპიელმა მექარხნებმა იწყეს დიდი ძალი მარგანეციანი ადგილების საკუთრად შექმნა.

სულ რომ არ დაიღუპოს საქმე, საქიროა ჩვენი მრეწველები შევაჯირდნენ და გადაარჩინონ, რის ვადარჩენაც შეიძლება. თუ ეს მოხდა, მაშინ ევროპის კაპიტალის დახმარებაც ადვილია. აგრეთვე საქიროა ევროპის ბაზრების შესწავლაც, რათა ყოველივე მოსალოდნელი კრიზისი თავიდან ავიცილინოთ.

რა უშლის ხელს ევროპულ კაპიტალს მარგანეცის საქმეში ჩარევას? 1) ჩვენების გულუბრყვილობა, რადგან ჩვენში ბევრს ყოველი ახლად მოვლინებული ტრაპიზონელი ბერძენი და ხარკოველი ებრაელი, ინგლისელი და ფრანგი კაპიტალისტი გონია; 2) ევროპიელ ავანტიურისტებთან საქმის დაქვერვა, რომელთაც მდღე ადრით და ამ ბოლო დროს ჩვენს ქვეყანას წურბლებივით მივადვენ, რა უნდა გვიშველონ, როდესაც არც ფული აქვთ, არც ნდობა და არც ნამუსი. ერთი ანდაზისა არ იყოს: "ბრმა ბრმას აეიკადა, სამარედი მიმიტანო"; 3) თუ ვისმე მადნიანი ადგილი გააჩნია ოპტიონს ერთს და იმავე დროს ბევრ პირს აძლევს და ფიქრობს, ვინც ადრე მოასწრებს იმასთან გავაკეთებ საქმესა, მაგრამ ძლიერ მოტყუილებული რჩება, რადგან ერთი და იგივე საქმე ევროპულ კაპიტალისტებს სხვა და სხვა პირისაგან მოდის და ამის გამო კარგი საქმეც რომ იყოს, მინც უნდობლად უყურებს; 4) თუ ვინმე სტუდენტი აპირებს უცხოეთში წამოსვლას, მაშინვე დატვართავენ სხვა და სხვა ქალაქიდან და ის კი ავიწყდება, რომ ევროპიელები სტუდენტებთან სამთავროდო საქმეებში დაპარაკს არ აიანს მიხვეულებ; 5) მუშაობას მიუჩვენებელი ქართველი ყოველთვის გაუტრბის ძნელ საქმეს და სურს ერთ კვირაში მილონერი გახდეს. ასეთმა სურვილმა გამოიწვია ის გარემოება, რომ ჩვენში ყველა სამთავრო-მადნო საქმის წარმოებას ლამობს; რომ ასეთ არა ნორმალურ მდგომარეობას ბოლო მოვლას, საქიროა სამთავრო-მადნო საქმეების წარმოება საქართველო საზოგადოებას გადავსცეთ. ასეთ დაწესებულებას ევროპიელი კაპიტალისტები უფრო ნდობით შეხედვენ და ამ ნაირად დავიკავებთ იმ ეროვნულ განძს, რომელიც შეიძლება ძლიერ მალე ხელიდან გამოგვეცალოს.

ევროპული კაპიტალი უსათუოთ საქიროა მადნეულობის დასაბუშვებლად, მაგრამ თავი და თავი საქმეში, რომ ჩვენი ადგილები კარგა პარობებში გვესცეთ და მათ დამუშავებაში შესაფერისი მონაწილეობა გვქონდეს, თორემ

მერმე გვიანდა აქნება ტირილი.

29 წლის განმავლობაში ჩვენს გარეშე მილიონები ტრიანდელა და ჩვენ ამ პროცესში ვარიუტული ვიყავით.

ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ სიღარიბეზე ტირილი ჩვენში მიუტოვებელია. სიღარიბე ბევრია, მხოლოდ მას მოვალა და გამოყენება უნდა.

თუ გვიანდა უბედურება თავიდან ავიცილოთ, საჭიროა საერთო ძალით მოქმედება, განცალკევებული მუშაობა ვერას გვაშველას.

ამისთვის კი საქიროა დავაარსოთ საექციონერო საზოგადოება, როგორც ხევით მოვიხსენიებ, რომელიც ამ მიმე, მაგრამ ჩვენი ქვეყნის გამაღიერებელ მუშაობას იკისრებს.

ბატონებო! აი, რა საგულისსმინერო და თქვენ სასარგებლო დარჩებას იძლევა ბატონებო, დაუკვირდით მას, დაუჯერდით, ნუ გაყავით ხელ ალებ მამულს, ნუ ლუპავთ თქვენ შვილს და მომავალს. იხსენით თქვენი თავი სრულ დაღუპვების შეუღებოთ საქციონერო საზოგადოების დაარსებას, თუ როგორ უნდა მოიწყოს ასეთი საქციონერო საზოგადოება, ამაზე ბ. ლამაზიძის ცალკე მოხსენება ექნება. მაშ შეუღებოთ საქმეს, ნუ ყოყმანობთ! შექრულით საკრედიტო ანხანაგობის გამგებობის თავჯდომარე ალ. ჩინიალაძე.

გ ა კ ვ რ ი თ.

(როდის დადგება სასურველ ნადავლს ქართული ენის სწავლება სახალხო სკოლებში.)

სახალხო სკოლები დღეს რომ საგნებით ვერ ასრულებენ თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე, ეს ყველასთვის ცხადია. არ მოიპოვება არც ერთი ოდნავ შეგნებული ადამიანი, რომ ამ მოვლენას ანგარიშს არ უწყედეს და თავის რეცეპტს არ გვაწოდებდეს სამშობლო სკოლის გინსაკურნებლათ. ყველა სცილიობს თავისი შეხედულება დაუქვემდებაროს სრულადგოგორ მოთხოვნილებას, მაგრამ ხშირად ისეთ რამეს იტყვენ, რომელიც სრულიად ვერ მიგვიყვანს სასურველ მიზანამდე. განყენებული მსჯელობა ჩვენი მსგავსებისა, სასაცილოდ მოგვჩვენებს გარეშე მუყურებელს; ის კი, ვისაც გულით სწავლია სახალხო განათლების აყვავება, სასოწარკვეთილებას ეძლევა და მწარე ფიქრებით გატაცებული, ხშირად ემდღეს რის ბედის ტრიანოს.

"სახალხო ფურცლის" 226 ნომერში ბ. არონიშიძე ვრცლად შეგხო გურიის სასწავლებელთა ცხოვრებას, სადაც მრავალი მტკნარი სიტუაცია შეგაბრა, რაზღადაც "აზრის" ფურცლებზე დისტამბა მასწავლებელთა პასუხი, ამიტომ მისი წერილის იმ ნაწილს, რომელიც ჩვენს გულგრილობას შეგებთ სამშობლო ენისადმი მე უყურადღებოდ ვსტოვებ, მხოლოდ გავკვირვით ვკითხვებ ბ. არონიშიძეს: წაიკითხა თუ არა ჩემი წერილები "პრომის" № 12-ს და 12-ში ქართული ენის შესახებ და თუ წაიკითხა, ნუ თუ იქ ვერ იპოვა სახელმძღვანელო გეგმა ქართული სწავლებისათვის, მთელს საქართველოს სკოლებში სახმარებელი თუ არ მოეწონა, რატომ არ აკრიტიკებს მას; თუ კი მეთანხმება, რაღას განიხილს "მასწავლებლებს გეგმის შედგენა არ შეუძლიათ".

სანამ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების, წესიერ კალაპოტში ჩამყენებულა გზა არ გამოგვიჩვენებს, რა თქმა უნდა, სალი პედაგოგია დევნას განიცდის და დედანაც იტანჯება ზოგიერთი ანტიპედაგოგების წყალობით, რაც ფრიად საშუხარბო ყველა ერისადმი სიყვარულით აღჭურვილი ადამიანისთვის და დამნაშავენი ღირსიც არიან გავცხვების, მაგრამ გურიაში არიან ქვეყნის მუშაკებიც და მათი შეურაცხყოფა უსამართლობა იქნებოდა. მხილება რომ კარგია, ეს ფაქტია, მაგრამ მართალი პიროვნების გავცხვება, როგორც ამას ჩხადიან არონიშიძე—კრახლები, ბავშური გატაცება საქმე შემოღულ ვაებატონებისა და სხვა არაფერია.

ბ. ბ., ამბობთ დამნაშავენი, ჩვენც თქვენთანა ვართ. ნუ შეგებთ მართალ პირებს, თორემ დადგება დრო და სასტიკად გაგებებენ პასუხს. როგორ გგონიათ, არონიშიძე, ჩვენ თქვენზე ნაკლებს მსჯავრს დავსდებთ მოლაღობებში? არა... ჩვენ პირდაპირ დავასხრებთ მათ. კრახლებო! სხვას უსაყვედურებთ სიბეცეს და თქვენ რამ ავიხვით თვალში, რომ ვერ ამჩნევთ მასწავლებელთა თვითგამორყევას? ბრმა ეჭვანობის ტიპო! სხვის უსაქმობას გაკვირვით, თვითონ როდის უნ

არმოვიდგინებ სკოლის განსაკურნებელი რეცეპტი? გულგატეხილი! ნუ თუ გგონიათ, არონიშიძის მიერ წამოყენებული წ. კ. გ. ს. სკოლის დაარსება ქ. ოზურგეთში იხსნის გურიის სასწავლებლებს გადაგარბისაგან ვაი აქ არის თქვენი ძლევა მხილება—არა? მაშ ჩაყვეთ ქვევით და დავინახავთ რა როლს ითამაშებს თქვენი სკოლა გურიაში და მოიტანს თუ არა იგი სასურველ ნაყოფს.

სკოლის დაარსება, მრავალი სასწავლებლებით მიუთენილს გურიაში ზედმეტია; მერე იმისთანა სკოლა, რომელიც არონიშიძეს აქვს წარმოდგენილი ჯერჯერობით არ დაარსდება, რადგანაც თანამედროვე მასწავლებლები ვერ დააკმაყოფილებენ ყველა იმ მოთხოვნილებას, რაც დღეს ფანტაზიამ წარმოუშვა; ჩვეულებრივი, ნათლიამამობით არჩეული პირები კი გზისმკვლევარ ვარსკვლავობას ვერ გაუწყვენ გურიის სასწავლებლებს, რასაც თვითონ არონიშიძეც გრძობს. ამა რა ექნათ? მისი აზრით უნდა მოვებნოთ განსაკუთრებული ვადლები, ცოდნის, ენერჯის, ჯანმრთელობის, მოყვანილობის მქონე მასწავლებლები, რასაც ჩვენ ვერ ვპოვებთ და ამიტომაც, ბ. არონიშიძის მიერ წამოყენებული რეცეპტი ჰაერში ფრენას უფრო ჰგავს, მინამ ცოცხალ სინამდვილესთან შეგვიშორებულს; ადვილად განსახორციელებელს, გურიის მასწავლებელთა გამოსასწორებელს საშუალებას. ვისევე, დავაარსებო სასურველი სკოლა, მერე ის განა ვალწევს დაქვემდებარებას მასწავლებლებს ხელმძღვანელობას? თუ მხედველობაში მივიღებთ გურიის ადგილ-მდებარეობას, დავარწმუნდებით, რომ ოზურგეთის სკოლას არ შეუძლია უხელმძღვანელოს გურიის სასწავლებლებს. ის მხოლოდ კარგი იქნება იმ მოსაფთვითვის, რომლებიც იქ მივლენ სამეცადინოთ, სხვები კი იხევე დარჩებიან; როგორც დღეს არიან, თუ უკეთესი გზა არ იქნა გამოძებნილი. მაშ, რა არის საქირო მასწავლებელთა სასურველ შეგნებამდე მიყვანისა და დედან ენის სწავლების წესიერ ნიადაგზე დაყენებისთვის?

განა საკმარისია ლანდფა გინება, სიტყვების რაბა-რუბი, ცრემლი, გოდება, დაკინება და მოთქმა? არა... საქიროა, შეგებნოთ ტონდა თვით მასწავლებლებს; საქიროა, მატერიალურად უზრუნველყოთ ისინი; საქიროა, ხშირად იმართებოდეს პედაგოგიური ყრილობები ამა თუ იმ საქიროის გამოსარკვევად; საქიროა კარგი სახელმძღვანელოები; მიუცილებელია კარგი ხელმძღვანელები—ყველა ამას კი მოგვეცემს არა არონიშიძე-კრახლები, არა წ. კ. გ. საზოგადოება, არა ოზურგეთის სკოლა, არამედ მასწავლებელთა თვითგამორკვევა, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ყველა პატროსანმა და დამანამა.

შენ გეგმენ, უდანაშაულო მასწავლებლო! რა გინდა ქნა? ნუ თუ არ გეყო ამდენი ტანჯვა-წავლება? გაახილე თვალი, ხელი შეუწყვე შენს თავგამოდებით დამცველებს, ალაგმე არა მკითხვე მსგავსებები, დააჩხუპო პრიფესორისაგან კეპი-პირი და მერე უფრო გაგიაღვიდებო ცხოვრების უკუღართანსთან ბრძოლა, შენც ისწავლი, განვითარდები და დედან ენის სწავლება კრეულიარულად იწარმოებს.

ნაკ. ქაშუშაძე.

წერილი რედაქციის მიმართ. (ბ. დ. ჩხვიძის ლა წერილის პასუხათ).

ბ. ნო რედაქტორო!

გაზეთ "აზრის" 29 ნომერში (7 აპრილი) ბ. ჩხვიძე ფიცხი სასათის წერილით მომართავს და სასასუთო მაქვემდებარებას კამორკვევაში, რომლის მიხედვით ჩემში ჩხვიძეს იგი და შეუდგები შედარა ფაქტობაებით. იმდენათ ბავშვრათ ვსთვლიდა ამ გვარ მათ საქმეებს, რომ რამდენიმე მათი წერილები პასუხად ჩემგან სიმუქე ეყო მსოფლიო. უკანასკნელი წერილით კი ბ. ჩხვიძე ხარბი-გის ქართველ სთავსტამოს სახელათ მამ მართავს და ვიდრე მემუქრება, თუ პასუხა არ მოგვეცე, აქვენი ბრალდება განთავსებული იქნება და შეუდგები შექმნილების თავისუფლება შეეცემა, მე, რასაკვირვებლად, შემცდრათ ვსთვლი თავს, რომ ჩვეულებრივად დამოუკიდებლად ვარჩებ მათ ბავშვურ უკანასკნელ წერილსაც. მაგრამ ჩემთვის აუვიდებელია თუ ის მემუხა ბ. ჩხვიძისთვის, რომ ბ. ჩხვიძე იქნას ერთად მასაც ქართლ მოქმე

ლების თავისუფლება, მათ უმეტეს, რომ, ბ. ჩხვიძე იმდენი გავლენა აქონდა და ბ. ჩხვიძე სასუთო დაარწმუნა იმაში, რომ ასე უფრელები თათქო ჩემი შედგენილი და გამოსწავლული იყოს. როგორც ერთხელ ვამცხე მათ, მე სასასუთო გამოსწავლული უარს არ ვამბობ, მაგრამ ვერ შეუდგები დასტოვების ვისა გამოსწავლულია უფრელები და მერე კი შეუძლია მსხუხუთ მოთხოვით. ასე კი, ამგვარ საქმეებს და განსასწავლად წარადის "მუქარას" მე სურათსთარისა თმის გავლენას ვამბობ, რადგანაც მას განსაკუთრებით ამაყისუქეს დიდა გავლენა: ახლა სამ ამბობას თამამობინ ამაყია.

სხედვლით კი თუ სერიოზულ დასამტკიცებელ საბუთებს ვერ წარმოადგენს, შენ ვასაქვე ჩემ თავს მოქმედების თავისუფლებას.

სტ. ვხევალოდ კანანაძე.

ლია წარილი ბ. "დამ-სტ".

ამავე გაზეთის 62-ში წავიკითხე თქვენი პასუხი, რომელიც შენ თანხმობას მისცადეთ და წინადადებას მასაღვთ, ვერ მე თვითონ ავიხლო ნიდაბი და გამოვჩინებ ჩემი სახე, რა-ზედაც გაპასუხებთ, რომ 20 წლის განმავლობაში ქართული ურნადა-კასეთის თანამშრომელს და მხეხელს (ხედედასაღვს), რომელსაც არა ერთხელ გამოგნადაცა საჭიროების დროს თავისა ვინახავ, კარგათ იცნობს შეათხეულ სასოგადოებას, ხოლო თქვენი სახე, რომელიც ამოფარებულია სასოგადოებას და უფრო ფრეხელსა, საჭიროა დაგვანახათ, რადგანაც ამ გვარ შემთხვევებში ასე თხოვდას ბრესის კანონი. ამასთანავე გაცხადებთ, რომ ჩემის მხრით შედატრეუათ ვასსელებს მ. მ. სანთს მსჯელობის, ამბობს ფიფხაქეს და მასწავლებელს აწილდ მთავრებიც. ესა დასასწავლოთ თქვენი შედატრეუება.

ბოლოში ვახლა შეათხეულ სასოგადოებასთან, რომ თავსთა გარემოებისა გამო დამავიჯანდა შედატრეუება დანახეს.

ლადო მზვანელი.

14 მაისი 1915 წ.

ს ი ა.

შემომწირველია ქ. შ. წ. კ. გ. ს. სასარგებლოთ შეკრებილი დეკანოზი ალექსანდრე შანიძის შეუღლის ანასტასია იაკობის ასულისაგან.

ორა მანათი.

იოსებ მატარაძემ.

თითო მანათი.

მღვდ. გიორგი მუსხრამე, ვაინა კუხიანიძე, ტრეგნია ჩხაიძისა, პედაგოგ კუხიანიძისა, ლილია კახიანიძისა, კოსტა სვანიძისა, ნატალია ლეგვანია, დავით ისაკაძემ, ქრისტინა მოწონელიძისა, ანასტასია შანიძისა.

თითო შურია. ბატუბა ბართაშვილისა, მიხეილ ჭყვიანძისა, კოსტა მჭედისა, ნიკოლოზისა, ვერა კიკნაძისა, მატრონა ლომიძისა, ნესტორ სალიაშვილია, ვასილ ბურდელავისა, ნალია ლოუსენისა, სამსონ გოგინძემ, მარია კოკვაძისა, სერგია კოსტავამ, ირინე არჯენიძისა, ილია გოგავამ, მარია ჯიშკარიანმა, ეკატერინე ნიკოლოძისა, ერიკო ჩხობაძემ, ნინა დანელიასა, ელენე ლომიძისა, მარიამ ყორჯილიანისა, ივლიანე ქიათავამ, ნიკოლოზ კოსტავამ, ვასილ ქვიშვილია.

ქვემოქვენი შურია. რევეკა ქვიშვილისა, დომენტი კაკოურიძემ, ვლადიმერ დოლობერიძემ, ბანეთო პოპონდოპულაძე.

პოლიკარტე გიორგაძემ ხუთი შურია.

თითო ახაზი.

ბესარიონ ბუაძემ, მაშვიკო აბდლაძემ, სანდრო რუსაძემ, ივანე სვანაძემ. მარია გოგავასამ, აგრაფინა ქორიძისა, სანდრო გერაძემ, მიწა ნიკოლოძემ, ალექსანდრე კოსტრინძემ, დავით ბარბაქაძემ, ნინა ბარათაშვილისა, მარიამ ბობილოვილისა, ეფემია სალდაძისა, ვანო შალაბერაძემ, ერასტი ქვეკანიძემ, ელისაბედ კოსტავამ, ოლია სულავამ, თედორე ლეგვანია, დავით გვახარიამ, კატა შულთაძისა.

სამ-სამი შურია: ანტონ დავითაიამ, კლინიკა არსენიშვილისა, ანტონ კვეციცკამ, ალექსანდრე ქსანდინაძემ.

ორ ორი შურია: მიხეილ ნარჩომაშვილია, თედორე ნუკუბიძემ, სანდრო თედორაძემ, მატრონა ფხაკაძემ, კოლია ჯანჯღავამ, მარიამ გიორგაძისა, გიორგი შარინოვამ, ბესარიონ სვანაძემ, ნიკო კუჭუხიძემ, მიხეილ წულაძემ, ერმილ ფხაკაძემ, ქრისტეფორე ცქიტიშვილია, სარდიონ ასათიანმა, არსენ ბურკაძემ.

თითო შურია:

ბენია იაშვილია, ერმილ ბუაძემ, დავით ქვიშკინამ, სილიბისტრო ფოტხაძემ, ნატალია ნაფეტვარიძისა, მელოტონ ნარომელაძემ, ნატაშა რუხაძისა, ვარლამ კახიანმა—ერთი ოლგელონი, არტემ ჩაჩავამ—ერთი ლუბი, ამბროსი ხვიციანი—ერთი სარკე, ელისაბედ მოწონელიძემ—12 რიუმკა, ელენა შანიძემ—1 აბრეშუმის პლატოკი, გუგულია შანიძემ—1 ნანდის ქული, ანეტა გეგელაშვილისა, ხელთათმანი და ნინა ცავარციშვილისა—საყვე თავის ფინჯლით და საღვთოქით.

რედ. გამომც. ი. თ. ცინცაძე.

24 მაისიდან თფილისში გამოვა ნაცვლად ქურნალ "კლდისა" ყოველ-დღიური გაზეთი „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი“

ფასი წლის დაძლევაზე 5 მან. ჰირველ ოქტომბრამდე 3 მან. „კლდის“ სველის მოძქურთ, რომელთაც მთელი წლის ფული აქვთ გადახდილი, გაზეთი გავცხვენებთ 1 მკათათვედ. ადრესი: Тифлисъ, Московская ул. № 4. რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანიძე.

უდიდესი სპეციალური ფიზიკის მაღაზია. კ. ი. ოცხეილის და ახს. ქუთაისში. აღმასწავლებელს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ. კ. ი. ოცხეილისა და ახს. ფიზიკის მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტიკული, პედაგოგიური, იურდიული, საბავშვო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამოართულია ცნობილი საბავშვო მაღაზია დ. ი. ოცხეილისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სიმოსწავლო საკანცელარო ნივთები.

ნუნისის სამკურნალო ბუნებით თბილი აბანო ნუნისი, ახუ მუნისი, რომელიც ქუჩა მუნისაგან განმკურნებელი უტრბი საშუალება, ჰკურნავს განსაკვირვებლად ყოველნაირ კანის ავადმყოფობას და მსთან დიდ საშუალებას აძლევს ავადმყოფს სხვადასხვა სუნის წინააღმდეგ. მდებარეობს შორბანის მაზრად, მთლითის სანდგურიდან 6 ვერსის მანძილზე, მადლობა შენებნარში. სესონი იწყება 15 მაისიდან და გრძელდება 1-ს ოქტომბრამდე.